ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 კაპ. კვირა, 27 ნოემბერი 1916 წ. № 265

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტით დიდ ... კანონზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე ძმებით, მეუღლით, რძლებით, შვილებით და ძმისწულებით უგულითადესს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პატივი სცა მისს ძვირფას დედის

ოლღა ნიკოლოზის ასულის
ლამბაშიძის

ხსოვნას პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე დასწრებით და აგრეთვე ტელეგრამებითა და წერილებით სამძიმრის გამოცხადებით.
(1—414—1)

თბ. გუბერნიის თ.-აზნაურობის
წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი
სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ დაესწრნენ
თავად-აზნაურობის საგანგებო საგუბერნიო კრებას,
რომელიც შესდგება
კვირას, 27 ამა ნოემბერს, საღამოს 8 საათზე,
დეპუტატთა საკრებულოს სადგომში.
განსახილველი საგნები: წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოსადმი რწმუნებულობის მიცემა უძრავ ქონებათა და სამრეწველო წარმოებათა შეძენის უფლებისა.
(2—263—2)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა)
კვირას, 27 გიორგობისთვეს,
კონცერტი სიმებიანი ორკესტრისა
ბ-ნ ა. სენკევიჩის ლოტბარობით
შესრულებული იქნება სამუსიკო ნაწარმოები რუსულ და ევროპიულ კომპოზიტ.
ორშაბათს, 28 გიორგობისთვეს,
სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი
სტუმრები საზოგადო წესით. ✦ ✦ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს.
(1—268—1)

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა.
ნ. ბარათაშვილის ლექსები
და
წერილები სრული აკადემიური გამოცემა სურათებით
გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა.
წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:
ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი".
დ. უზნაძის—„პოეტის სული".
გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალი ავტოგრაფით.
სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქუჩული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.
წიგნის ფასია ხელის მოწერით სამ მანეთ ნახევარი (3—50)
სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ღირება 5 მან.
✦ წიგნი გამოვა 1917 წლ. აპრილში. ✦
ხელის მოწერა მიიღება თბილისში—წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სახალხო ფურცლის" კანტორაში; ქუთაისში—ის. კიღაძესთან, იას. ბაქრაძესთან და პ. ყიფიანთან; ბათუმში—სიმ. მდივანთან და კოტე კობახიძესთან; ფოთში—ლ. ჯაფარიძესთან; სამტრედიაში—ის. სტურუასთან; ხონში—მოს. პელიძესთან; სოხუმში—პლ. გელოვანთან; თელავში—ივ. პაატაშვილთან; გორში—სიმონ მაჭავარიანთან. ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: თბილისი, „სახალხო ფურცელი".
(კვ.—257—2)

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია"
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათიით დაეთმობათ.
მელანი ახლის გადახალებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".
(თ.—228—თ.)

დილის წარმოდგენა
(ახალ კლუბის შენობაში)
კვირას, 27 გიორგობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება:
თამარ-ცბიერი
დრამა 4 მოქ. აკაკი წერეთლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, შოთაძე. ბ-ნნი: იმხნელი, ივანიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ციციშვილი, ჩაგუნავა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
(3—262—3)

გამოცემა „ამხანაგობისა"
გამოვიდა და იყიდება ყველგან
„ბედი ქართლისა"
ნიკ. ბარათაშვილის
სრული ფაქსიმილე
ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).
ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური ხაჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით
პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია

„სავაჭრო სახლი" (სკლადი)
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.
(101—წ.)

ვასწავლი
ქართულ
სიმღერა-გალობას
და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ სახალხო გუნდისათვის.
მიღება და ჩაწერა
კავსაძესთან.
ჩუღურეთის ნიკოლოზის ტაძრის სკოლის შენობა, სამშაბათობით და პარასკევობით, საღ. 6—9 ს.
260.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
✦პროვიზორის ახვლედიანისა✦

ექიმი
პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გამოვიდა და იყიდება
ქ. შ. წ. კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში
●●● „ბ რ დ ე მ ლ ი" ●●●
მესამე წიგნი. ფასი 2 მან. 50 კაპ.
(5—267—1) გამოცემა ქ. სიტყვა-კაზმულ მწერ. საზოგადოებისა.

ამხანაგობა
„კახური მეღვინეობა"
ჩუბუნიშვილისა და სონღულაშვილისა
კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.
საკუთარ მამულებიდგან მიგვიღეთ საუკეთესო ღვინოები,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.
(თ.)

## საბჭო თუ თავად-აზნაურობა?

გერმანელთა კუთვნილი ქიათურის მამულების ლიკვიდაციის ამბავმა პირველ ხანებში ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელოდ ჩაიარა. გარდა რამდენიმე შეგნებული ვაჭარ-მრეწველებისა და პრესის ერთი ნაწილისა, ხმას არავინ იღებდა. სურვილიც რომ დიდი ყოფილიყო, ეს რამოდენიმე ვაჭარი და მრეწველი ასეთ დიდ საქმეს ვერ აუვიდოდა, ცალკე თანხის ნაკლებობისა და ცალკე კიდევ ორგანიზაციის უქონლობის გამო. ხოლო საქმის ფართო წრეში გადატანა და რაიმე საზოგადოების დაარსება დროს მოითხოვდა, რომლის განმავლობაში თამამად შეიძლებოდა, რომ კიდევაც სრულიად მიზანში ამოღებული, მამულები გაყიდულიყო. ეს ადვილი გასაგები იყო და ამიტომაც ყველამ უკვე არსებულ მუდმივ ორგანიზაციებს მიაპყრო თვალი და მოითხოვა, რომ საქმის მოთავედ სწორედ ამგვარი დაწესებულებანი გამოსულიყვნენ. ასეთნი იყო უმთავრესად შავი ქვის მრეწველთა საბჭო, ხოლო უფრო კანტი-კუნტად თავად-აზნაურობაც. ეროობა ჩვენ არ გვაქვს, რომ მისი „კანდიდატურა" ვისმე წამოეყენებინა. ყველას ახსოვს, რა ზლაზნით მიდიოდა საქმე. ბოლოს, როგორც ვიცით, შავი ქვის საბჭომ გადასწყვიტა სალიკვიდაციო მამულების მყიდველად გამოსულიყო. ამ მიმართულებით იგი დღეს მუშაობს კიდეც. სულ უკანასკნელად, საქართველოს თავად აზნაურობაც ასპარეზზედ გამოდის იმავე მამულების შესაძენად. გაზეთებში უკვე იყო ცნობები, რომ ამერ-იმერეთის თავად-აზნაურობას საგანგებო თათბირებიც კი ჰქონია ამ საგანზედ და დაუდგენიათ ამ საქმეში მაინც და მაინც მონაწილეობა მიიღონ. ამგვარად, დღეს ქართველების მხრით სამოქმედო ასპარეზზე ორი დაწესებულებაა გამოსული. ეს საკმაო აღმოჩნდა, რომ შეტევა-შემოტევის ნიადაგი შემზადებულიყო. ჩვენთვის ცოტაც საკმარისია, დიდი სისხლის ღვარი რომ ავადინოთ. ერთის მხრიდან უკვე გაისმა ფანატიკური ყიჟინა, ან საბჭო, ანდა არავინ. მეორეს მხრით, ამისდა საბათილოდ, მოისმის, მაინც და მაინც თავად-აზნაურობა და არა საბჭო! საცაა, ჩხუბი არაფერზედ გაიმართება და უსარგებლო კამათი საქმესაც გაგვიჩენს!

რა თქმა უნდა, მატერიალურად არც ერთი მხარე არ არის დაინტერესებული იმით, რომ ეს სალიკვიდაციო მამული მაინც მისმა რჩეულმა „კანდიდატმა" ჩაიგდოს ხელში. როგორც ერთი მხარე, ისე მეორეც ერთსა და იმავე მიზანს ეტრფის, სახელდობრ, იმას, რომ ქიათურის ეს მამულები ისევ ქართველობას დაუბრუნდეს და ხელში აღარ ჩაუვარდეს ისეთ უცხო ტომს, რომელიც ჩვენი დედამიწის სიმდიდრეს ჩვენივე ხალხის სავნოდ და სამტროდ გამოიყენებდეს! ეს არის ჩვენი მთავარი საზრუნავი.

მთავრობაც იმ მიზნებით შეუდგა საერთოდ გერმანელთა მამულების ლიკვიდაციას, რომ ამიერიდან მაინც დაიცვა და უზრუნველ ეყო სახელმწიფოს ინტერესები შინაურ გერმანელთა ხიფათისაგან. კერძოდ შორაპნის მაზრის შავ ქვიან რაიონში, მთავრობისა და ჩვენი ხალხის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმება და ამიტომაც იმედი გვაქვს, რომ ერთმანეთისას ადვილად გავიგებთ. მაგრამ მთავრობას მაინც თავისი საკუთარი გემოვნება აქვს, რომელიც ჩვენს მადაზე სრულებითაც არ არის დამოკიდებული; მას შეუძლიან წუნი დასდოს იმ „კანდიდატს", რომელიც ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია და პირ-იქით მოიწონოს ის „კანდიდატი", ვისაც ჩვენ შავ კენჭს ვაძლევთ. ასეთ პირობებში საქმეს განა ის არ უჯობს, რომ ერთი ღირსეული კანდიდატის ნაცვლად, ორი, სამი ან მეტი, თანაბრად, თუ დაახლოებით თანაბრად, ღირსეული კანდიდატი გვყავდეს? ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ესა სჯობია ქართველების მხრიდან გამოსულ მყიდველებიდან თითეულს თავისი ღირსება და ნაკლი აქვთ. პირადად ჩვენი სიმპატიები შავი ქვის მრეწველთა საბჭოსკენ იხრება. სხვა და სხვა დროს ამისთვის საბუთებიც მოგვიყვანია, რასაც დღეს არ განვიმეორებთ. ბევრ სხვა ავტორსაც გამოუხატავს ამგვარი დასაბუთებული სიმპატიები „საქართველოს" ფურცელზე. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ბ-ნი „კუდელის" წერილი, სადაც ავტორი უპირატესობას თავად-აზნაურობას ანიჭებს. არა გვგონია არ ვიცოდეთ, რომ ამ ჩვენს სიმპატიებსა და უპირატესობათ ბევრი ფასი და მნიშვნელობა არ აქვს იმისთვის, რომ საკითხი პრინციპიულად ქართველების კანდიდატების სასარგებლოდ გადაიჭრას! და რა მოსატანია თავის ტკივება ისეთ რამესთვის, რაიც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ჩვენ რომ უპირველესად გვაინტერესებს იმ საქმის ბედზე. შავი ქვის საბჭო და თავად-აზნაურობა ორივე სერიოზული ორგანოა და ჩვენ ორივე დაახლოებით ერთნაირად უზრუნველგვყოფს ჩვენი უმთავრესი მიზნის მხრივ. ამ პირველ ხანებში, სადაც საქმის გადაწყვეტა უფრო სხვის აბსოლუტურ ნებაზე ჰკიდია, ვიდრე ჩვენს აბსოლუტურ გავლენაზე, ესეც საკმარისია. ეხლა თავი და თავი ისაა, რომ ერთიცა და მეორეც თავით ფეხამდის ღირსეულად შეიარაღდეს, რომ გავარდნილი ლუკმა ერთ-ერთის ჯამში მაინც ჩავარდეს! ისეთი გარემოება გვიდგას, რომ ერთ-ერთის გამარჯვება მაინც ჩვენი საერთო მიზნის გამარჯვება იქნება და ჯერ-ჯერობით ხომ ამის მეტი არც არაფერი გვესურვებია!

ს. კედია.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ბუქარესტის აღების შემდეგ ბრძოლის ხაზი დიდ ვლახეთში ძალიან შემოკლდა. ახლა იგი იწყობა მდ. ბუზეოდან და მიდის თითქმის პირდაპირის ხაზით მდ. დუნაიამდე. სიგრძით ეს ბრძოლის პირი დუნაიამდე 200 ვერსამდე იქნება. ომის დაწყებისას კი მთელი ბრძოლის ხაზი ბუზეოდან ჩერნოვოდამდის 700 ვერსს აღემატებოდა. გერმანელების და ავსტრიელების ჯარი, მაშასადამე, ამ უშველებელ სიგრძის ხაზზე იყო გაშლილი და დაბანდებული. ახლა თითქმის 500 ვერსზე შემოკლდა ბრძოლის მიდამო და მოპირდაპირესაც მრავალრიცხოვანი ჯარი გაუნთავისუფლდა. ეს იმდენად დიდი წარმატებაა, რომ დღევანდელ გამარჯვებას რუმინელებზე ერთი ორად აორკეცებს. დღეის შემდეგ გერმანელებს საშუალება ეძლევათ როგორც ბესარაბიის მიმართულებით წინსვლა, აგრეთვე გენ. სარაილის წინააღმდეგ ჯარების გაგზავნა, თუ, რასაკვირველია, უკანასკნელი მაინც განიზრახავს ოპერაციის გაფართოვებას მაკედონიაში. გარდა ბრძოლის ხაზის შემცირებისა, გერმანეთმა ხელთ იგდო მდ. დუნაის უდიდესი ნაწილი და სტამბოლი შეიერთა კიდევ რამოდენიმე რკინის გზით.

გუშინდელ ოფიცალ დეპეშათა გადმოცემით მოპირდაპირეს მოლდავანიაში მდ. ოიტუზით დაუწყვია შეტევა. თუ მკითხველი გაიხსენებს დაგვეთანხმება, რომ ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მდ. ოიტუზს ვაქცევდით სწორედ მაშინ, როდესაც ყველა სამხედრო მიმომხილველი ხსენებულ მდინარეს შეუმჩნევლად სტოვებდა და ყველა მათგანი გზების გადაჭრას და საზოგადოთ საფრთხეს მდ. ბუზეოდან ელოდდა. უკანასკნელთა შეხედულობით ავსტრო-გერმანელები მდ. ბუზეოდან დაიწყებდნენ შემოვლას და შეეცდებოდნენ ქ. ბუზეოს დაპყრობას, რაც რუმინელებს საშუალებას მოუსპობდა უშიშრად უკან დაეხივნათ. თავდაპირველადვე ასეთი გაბედული მანევრი მოპირდაპირეს მიერ შეუძლებლად მიგვაჩნდა, ვინაიდან მდ. ბუზეოთი წამოსულ მათ ჯარს მარცხენა ფრთით შეხლა მოუხდებოდა რუსებთან, რომელნიც სწრაფად მიიშველებდნენ საკმაო ძალებს იასსი-ტებუჩ-ფოქშანის რკინის გზით და ადვილად შესძლებდნენ მდ. ფულტეხილიდან მოწყვეტას. მაშინ კატასტროფისაგან ეს ჯარი თავს ვერ იხსნიდა. პლოეშტის და ბუქარესტის აღების შემდეგ ხომ, მდ. ბუზეომ არსებითი მნიშვნელობა სრულებით დაჰკარგა. რუმინელები ახლა პირაღებით უკან იხევენ. მაშასადამე, სანამ მდ. ბუზეოთი ავსტრო-გერმანელების ჯარი მოასწრობს ქ. ბუზეო დაიპყრას, რუმინელები თავისით მას უკვე დასტოვებენ და აღმოსავლეთით დაიხევენ.

სულ სხვაა მდ. ოიტუზი. მოპირდაპირე ამ მიდამოთი მდ. სერეტზე გამოვა და მის მარჯვენა ნაპირით ქ. გალაცს მოადგება. ოფიციალი დეპეშის ცნობა, რომ ავსტრიელებმა შეტევა სწორედ აქ დაიწყეს, ადრევე არა ერთხელ გამოთქმულ ჩვენ აზრს ამართლებს. მოლდავანის ბრძოლის ველის ახმაურება პირდაპირი შედეგი უნდა იყვეს დიდ ვლახეთში განვითარებულ ოპერაციისა. მოლდავანიამ აუცილებლივ თავის სიტყვა უნდა სთქვას. ეს სიტყვა გადამწყვეტი იქნება მდ. დიდ ვლახეთისა და მასთანავე მთელ რუმინეთისა. გერმანელები დარწმუნებული იქნებიან, რომ დიდ ვლახეთში გენერალურ ბრძოლისთვის მოლდავანიიდან რუმინელები ჯარებს გადაიყვანდნენ და ამ მიდამოს ასე თუ ისე შეასუსტებდნენ. მოულოდნელი შეტევით მოპირდაპირე ადვილად გაარღვევს ბრძოლის ხაზს და გაიმეორებს დიდ ვლახეთის მანევრას.

უკანასკნელ წამს მოსული კერძო დეპეშები გვარწმუნებენ, რომ გერმანელებმა უკვე მოახერხეს რუმინეთიდან ჯარების გადაყვანა აღმოსავლეთ ბრძოლის ველზეო. შეიძლება ეს ცნობა სავსებით მართალი არ გამოდგეს. მოპირდაპირეს ჯარები რუსეთისკენ კი არა დანამდვილებით სალონიკის მიდამოებისკენ გადაერეკაო; მით უმეტეს, რომ ბულგარელებს და გერმანელებს სერბიელების წინააღმდეგ შეტევა დაუწყვიათ და წინა სანგრები უგდიათ ხელში. თუ მივიღებთ მხედველობაში საბერძნეთში გამეფებულ უთანხმოებას, რომლის შედეგათაც მოსალოდნელია მოკავშირეთა წინააღმდეგ გალაშქრება, მაშინ უფრო დასაჯერებელი იქნება, რომ გერმანელ ჯარებს მართლაც სალონიკისაკენ მიაშურებენ.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 25 გიორგობისთვე. ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. გოლუბიცა-პენიავის ხაზზე მოწინააღმდეგემ ძლიერი, გამანადგურებელი ნაღმები დაუშინა. პორტუტორისა და რიკელანის რაიონში საარტილერიო სროლა ძლიერდება. ტყიან კარპატებში რუსები იერიშზე გადადიან, განსაკუთრებით იავორნიკას სამხრეთით, 25 ვერსის სიშორეზე. ბრძოლა გრძელდება. შედეგი გამოურკვეველია. ტორონგას მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსის მზვერავები დაესხნენ მტრის მზვერავთ და გაჰფანტეს.

კავკასიის ფრონტი. საკკიზმანის მიმართულებით რუსებმა იერიში მიიტანეს ზოგიერთ მაღლობზე, აქედან გადაჰრეკეს ოსმალოთა რაზმები და რამდენიმე ტყვეც წამოიყვანეს.

რუმინეთის ფრონტი. მდ. ოიტუზას ველზე მტრის იერიშები მოგერებულია. ვალახიაში, ბუქარესტის დაცემის შემდეგ, რუმინეთისა და რუსთა ჯარები უკან დახევას განაგრძობენ. დობრუჯში და დუნაიზე სიწყნარეა.

**ლონდონი.** 24 გიორ. ოფიციალი. მუშათა პარტიამ გადასწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს ახალს კაბინეთში. იგი იმედოვნებს, რომ მთავრობა მალე ირლანდიის საკითხის გარდაწყვეტას შეუდგება.

**ლონდონი,** 24 გიორგობის. ოფიც. დღეს სალამოთი ლლოიდ ჯორჯი მეფემ აუდენციაზე მიიღო. მან თანხმობა განაცხადა პრემიერ მინისტრის პოსტი და ხაზინის პირველ ლორდის სახელი მიიღოს. ეს ერთი საუკეთესო საბუთია იმისი, რომ ლლოიდ ჯორჯის კაბინეთი უზრუნველ ყოფილია.

**სტოკჰოლმი.** 24 გიორგობისთვე. ბერლინიდან იუწყებიან: გერმანეთის მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ესპანეთის ელჩის მიერ გადაცემულს ბელგეთის მთავრობის პროტესტს გერმანეთში ბელგელთა გაყვანის შესახებ. გერმანეთმა ზომები უნდა მიიღოს, რომ ბელგეთში გამეფებულს უმუშევრობას როგორმე უშველოს. ასეთი საშუალება კი უებარი რამ არისო.

**ოდესა.** 24 გიორგობისთვე. მილტონის პროვინციაში გერმანელ-ბულგარებმა გაიტანეს პური. რუმინეთიდან პურის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გატანილ იქმნა. ზოგიც ინგლისელებსა ჰქონდათ ნაყიდი და უშიშარ ადგილას შენახული კრაიოვისა და ჟურჟევოს რაიონებში. გერმანელები თვით კერძო ოჯახებშიაც იჭრებიან და პურისა და ნავთის რეკვიზიციას ახდენენ, ხოლო შემდეგ, ჩვეულებისამებრ გერმანული სისტემით ანაწილებენ თავიანთ შორის. თვითოეულს მცხოვრებს ეძლევა 400 გრამმი ფქვილი, 200 გრამმი ლობიო და კრუპა და 500 გრამმი ნავთი.

**იასა.** 23 გიორგ. ოფიციალი „ვიტორული“ წერილში—„ყველაფერი სამშობლოსათვის“ სწერს: ჩვენთვის უმთავრეს საჭიროებას შეადგენს ოთხი რამ: მოთმინება, იმედი, რწმენა და ვაჟკაცობა. მოთმენა გვმართებს, რადგანაც ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, აგრეთვე გაივლის დღევანდელი ქარიშხალი. არ უნდა დაგვეკარგოს იმედი მომავალ რუმინეთისა, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი რუმინული ანდაზა: „რუმინელი არ დაიღუპებაო“. ამგვარსავე გამამხნევებელ წერილებს სწერენ სხვა გაზეთებიც.

**პარიზი,** 24 გიორგ. „ჟურნალ ოფიციალ“-ი იუწყება: ხვალ გამოქვეყნებული იქნება საბერძნეთის ნაპირების გარემოცვა, ვიდრე უკანასკნელი მოკავშირეთა მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს.

**პეტროგრადი,** 24 გიორგ. რუმინელ ლტოლვილთა მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათ პირობების გასაუმჯობესებლად მრავალი ღონისძიება მიიღო. ამ მიზნით ბესარაბიის, პოდოლის, ხერსონის და კიევის გუბერნატორებს საჭირო თანხა გადაეცათ რუმინელთა შესამოსად და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

**ლონდონი,** 24 გიორგ. დღევანდელ კრებაზე საიხედრო კომიტეტი ლლოიდ-ჯორჯს მისცემს ხმას, ესეთივე გარდაწყვეტილება გამოიტანა მუშათა პარტიამ. მუშათა პარტიამ შინაურ კაბინეტში ოთხი ადგილი მიიღო, ერთი ამათგანი საიხედრო საბჭოში იქნება, სამინისტროში კი სამი ადგილი აკუთვნეს. ამ ადგილებზე კანდიდატებად გენდერსონი, ბარნესი, ბრესი, ჯორჯ რობერტსი და უერდლი დაასახელეს. კულუარებში ხმა გავრცელდა, ლოიდ-ჯორჯს განზრახვა აქვს შინაური კაბინეტი გაადიდოს 12 კაცამდე. ამათში 5 უნიონისტი, 5 ლიბერალი და 2 მუშათა პარტიიდან შევა. ლიბერალთა გადაბირება დიდ შრომას მოითხოვს, რადგანაც ყველა ძველ მინისტრებმა უარი განაცხადეს ლლოიდ-ჯორჯის კაბინეტში მონაწილეობაზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### საბერძნეთი

პარიზის გაზეთებში ათინაში მომხდარ ამბების გამო სწერენ: „ავსტრიელებს და გერმანელებს მოლოდინი ჰქონდათ, რომ პირველი სატახტო ქალაქი ბუქარესტი იქნება, სადაც ქუჩაში გაჩაღდება ხელჩართული ბრძოლაო. ეს მოლოდინი ნაადრევი გამოდგა. ათინამ დაასწრო ბუქარესტს და მის ქუჩებში უკვე ბრძოლაა გაჩაღებული. საბერძნეთის სატახტო ქალაქში იგრგვინა ზარბაზნებმა, ატკაცუნდა ტყვიისმფრქვეველები, ასტყდა თოფის სროლა. ათინის მცხოვრებნი შიშისზარმა აიტანა.

საბერძნეთის ოფიცრობამ გადასწყვიტა: თუნდაც მეფე კონსტანტინემ დაუთმოს ადმირალ ფურნიეს მოთხოვნილი არტილერია, თოფები, ტყვიაწამალი და სამარი სურსათ-სანოვაგე, საბერძნეთის ჯარი არავითარ შემთხვევაში არ დაანებებს ამას.

ამის გამო მოკავშირეთა სამხედრო გემებმა დილიდანვე ათინის მხარეს მიაბრუნეს ზარბაზნების ტუჩი. მოკავშირეებმა ათინაში მეზღვაურები გადასხეს.

საბერძნეთის მთავრობამაც ათინაში შემოიყვანა სრულის საომარი საჭურველით დიდძალი ჯარი. პირველი თოფი ბერძენ აფიცრის ბრძანებით გავარდა. მისმა რაზმმა ერთბაშად ესროლა მოკავშირეთა ჯარს. ორი ინგლისელი ჯარისკაცი იქვე დაეცა სისხლში მოსვრილი. მოკავშირეებმაც ერთიანი სროლითვე უპასუხეს. ათინის ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. შიგადაშიგ ხიშტებიც დატრიალდა. ორივე მხრიდან ამოქმედდა ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები.

მაღაზიები და მთავრობის დაწესებულებანი მყის დაიკეტა, ქუჩებში აფორიაქებული ხალხი ტალღასავით მიმოდის. მათს სახეზე დიდი მძულვარება გამოკრთის მოკავშირეთა მიმართ.

ფალერის ნავთსაყუდელში ფრანგების ორი კრეისერი შევიდა და იქიდან ათინას ზარბაზნები დაუშინა.

ათინიდან იტყობინებიან: ფრანგების ჯარი ათინიდან გაიყვანეს.

საბერძნეთის მთავრობამ ფურნიეს 6 სამთო ზარბაზანი შესთავაზა, მაგრამ იცოტავა.

გუშინ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ მოკავშირეებს უკიდურესი ზომისათვის მიუმართავთ: მათ საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვა გადუწყვეტიათ. მხოლოდ მუქარაა ეს, თუ მოკავშირენი იარაღის ძალით აასრულებინებენ საბერძნეთის მთავრობას თავისს მოთხოვნილებათ, ამას, ალბად, ამ დღეებში გავიგებთ.

ეჭვი არ არის, საბერძნეთის მთავრობას, ბუქარესტის დამხობის შემდეგ უფრო გული მოეცემოდა და მოსალოდნელია უფრომეტი კადნიერება გამოიჩინოს მოკავშირეთა მიმართ, ვიდრე ამას იგინი მოელიან. საბერძნეთის ნეიტრალობა უფსკრულის პირამდე მიიყვანეს და ალბად თავის ბუნებრივს გზასაც დაადგება მისი სანაპიროების გარემოცვის შემდეგ. საბერძნეთმა, როგორც სჩანს, თავისი ვერაგული პოლიტიკით მართლაც მოიგო დრო და მოსალოდნელ შესაძლებლობას დაუახლოვდა.

## უკანასკნელი ცნობები

**„რუს. ინვ.“ სწერს: მოწინააღმდეგე ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რათა რუმინეთის გამოსვლით შექმნილი მდგომარეობა მოსპოს. რუმინეთის გამოსვლა საშიში შეიქმნა ყველა მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთვის. რუმინეთის გამოსვლით გზა გაგვეხსნა ბალკანეთის კუნძულზე. რუსის ჯარის გადასვლა ჩრდილოეთ ბულგარეთში ოსმალეთის და ბულგარეთის სამკვდრო-სასიცოცხლო და ყოფნა-არყოფნის საკითხად გარდაიქცა.**

**ავსტრო-უნგრეთს, რომელმაც ბუკოვინა და ნაწილი გალიციისა დაჰკარგა, უნდა დაეკარგა ტრანსილვანიაც, სადაც რუმინელები კარგა მანძილზე შეიჭრნენ.**

**დასასრულ, გერმანეთი ჰკარგავდა ახლო აღმოსავლეთს, სადაც მას მომავალში განზრახვად ჰქონდა თავისი ეკონომიური აღებმიცემობა გაეჩაღებინა.**

**სწორედ ამ მიზეზით აიხსნება, რომ გერმანეთმა რუმინეთს დიდი ყურადღება მიაქცია და არავითარ მსხვერპლს არ დაერიდა, ოღონდ კი ხელში ჩაეგდო.**

—

**ოქტომბრისტებმა დაადგინეს: გულისწყრომა გამოუცხადონ ყველა მათ, ვინც მარკოვ მეორესთან საქმეს დაიჭერს, ან გამარჯობას ეტყვის. ამ დადგენილებას ზოგიერთი სხვა ფრაქციებიც შეუერთდნენ.**

# ახალი ამბავი

### სახახლეში

◆ **ნადიმი.** გუშინ, 26 გიორგობისთვეს, წირვისა და პარაკლისის შემდეგ, რომელიც გადახდილ იქმნა სამხედრო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსის მიერ, სასახლეში თავი მოიყარეს წმ. გიორგის ჯვარის მქონე ყველა სამხედრო პირებმა, როგორც უმაღლეს ხარისხისა, ისე დაბალ ჯარისკაცთა. ყველანი მიწვეულ იქმნენ საუზმეზე, რომლის დროს მეფის ნაცვალი გამობრძანდა თვის დარბაზიდან და მიესალმა სტუმრებს. საუზმის დროს მეფის ნაცვალმა პირველი სადღეგრძელო მიირთო ხელმწიფისა. სადღეგრძელოს ურას ძახილით შეხვდნენ. შემდეგი სადღეგრძელო დაილია თვით მეფის ნაცვლისა. ყველა იქ დამსწრეთ მეფის ნაცვალმა ჩამოუარა და ბევრ მათგანს ემუსაიფა. ნადიმმა სალამოს $5^1/_2$ საათამდე გასტანა. ნადიმზე დაესწრნენ მრავალნი სამხედრონი ქართველ ლაშქრისა.

### ქართული დაწესებულებანი.

◆ **გადასახლებულთა ქონება.** ბათომის ოლქის სოფ. დევსკელის მცხოვრებლები, რიცხვით 31 კაცი, 1915 წელს იანვარში რუსეთში გადუსახლებიათ როგორც სამხედრო ტყვეები. ისინი იქ დარჩენილან 9—10 თვეს. ამათ დარჩენიათ სახლში გაუყიდავი თუთუნი 1500 ფუთამდის. ეს თუთუნი გაუყიდნია ადგილობრივს მთავრობას ბათომის მექარხნე ბინიატ-ოღლიზე. ეს რომ დევსკელის მცხოვრებლებს გაუგიათ, მიუმართავთ ბათომის ადმინისტრაციისათვის დაებრუნებიათ ამ თუთუნის ფასი, მაგრამ ადმინისტრაციას ფულის დაბრუნებაზე უარი უთქვამს. ამ სოფლის მცხოვრებლები მეფის ნაცვალს სთხოვენ ამ ფულის დაბრუნებას.

◆ **ქართულ ლაშქარის ნადიმი.** გუშინ, 26 გიორგობისთვეს დიდუბეში ქართველთ ლაშქარს სალაშქრო დროშის კურთხევის გამო დიდი ნადიმი ჰქონდა. ნადიმს დაესწრნენ ქართულ საზოგადო და საკულტურო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ **საგანგებო კრება.** დღეს, 27 გიორგობისთვეს, სალამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაა დანიშნული, რომელმაც დეპუტატთა საკრებულოს ნება უნდა მისცეს უძრავ ქონებისა და სამრეწველოების შეძენისა.

### ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქთა კავშირს აზრუმიდან** ატყობინებს მისივე რწმუნებული ექ. მარქარიანი, რომ ფქვილის უქონლობის გამო კავშირის ლაზარეთები და სხვა დაწესებულებანი უპუროდ დარჩენილ.

◆ **ხოლერის ნიშნები.** 25 ამა თვეს ქალაქის ლაზარეთში № 40 მიიყვანეს ლაზარეთიდან № 45 ერთი ეფრეიტორი ხოლერის ნიშნებით.

◆ **ქალაქის საავადმყოფოში** 27 ამა თვეს იწვნენ: ქუნთრუშიანი 235, ხუნაგიანი 29, ყვავილიანი 34, სახადიანი 125, საოფლიანი 450, მუცლითი 8 კაცი.

### სომეხთა შორის.

◆ **გარდაიცვალა** სომეხთა ცნობილი მწერალი სედრაკ ტარაიანცი. 4 გიორგობისთვეს დასაფლავებენ.

◆ **სომეხთა ორგანიზაციები** ბევრ ადგილიდან ცნობებს ღებულობენ, რომ გამოქცეული სომხები დიდ ქონებრივ გასაჭირს განიცდიან და მრავალმა გადამდებმა სნეულებამ იჩინა თავი მათს შორის.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **წმ. გიორგის კავალერის დღესასწაული.** გუშინ, 27 ამა თვეს, თბილისში დიდებულად იქმნა გადახდილი ეს დღესასწაული, დილის $9^1/_2$ საათიდან სამხედრო ტაძარში იწყეს დენა კავალერებმა. დღესასწაულს დაესწრნენ: მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, მისი უმაღლესობა პრინცი პ. ა. ოლდენბურგელი, მეფის ნაცვლის თანაშემწენი ინფანტერიის გენერალი იანუშკევიჩი და თავ. ორლოვი, აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშლის მოადგილე თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა, გიმნაზიების მოსწავლენი, ამჟარნი თავიანთ ბაირაღებით ეკლესიის გალავანში ჩამწკრივებული ⚜ ქართველთა დრაგუნის პოლკი. მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ეგზარხოსი პლატონი, გორის ეპისკოპოზ ანტონისა, ვრევნის ეპისკოპოზ დამიანესა და არქიმანდრიტ ნაზარისა და დიდძალ სამღვდელოების თანამსახურებით. შემდეგ გამოასვენეს რამდენსამე ადგილას ტყვიებით დაცხრილული ძველი ქართული დროშა, ქართული ზედ წარწერით და ეგზარხოსმა ფიცი მიიღებინა. ამის შემდეგ ეს დროშა ჩააბარეს ქართველთა დრაგუნის პოლკს. ამავე პოლკს თავად-აზნაურთა მარშალმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა წმ. ნინოს ხატი მიართვა და შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა წმ. გიორგის ხატი მიართვა პოლკს და იმანაც სიტყვა წარმოსთქვა. ცერემონიის გათავებისას, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ წმ. გიორგის კავალრები სასახლეში მიიწვია.

◆ **ცეცხლი ხასულიერო ხემენ. შენობაში.** 25 გიორგობისთვეს, ღამის 3 საათზე ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ძველ სემენარიის შენობაში თერძ მხითარიანცის დუქანში იატაკს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი მალე ჩააქრო.

◆ **გუბერნატორმა ბძანება გასცა,** რომ კანდიტერებში შეამცირონ ბოხჩოვანების გამოცხობა.

◆ **ფქვილი და მაზუთი.** თბილისში მხოლოდ 3 დღის სამყოფი ფქვილი და მაზუთი ყოფილა.

◆ **თესლეულობის შეძენა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ საკოპერაციო ბიუროს გადაუწყვეტია შეიძინოს ჩრდილო კავკასიაში ყოველგვარი სათესლე მასალა, რომელსაც სოფლის მეურნეთ მიჰყიდის განსაზღვრულ ფასებში ბანკების საშუალებით.

◆ **ისტორიკოსის თედო ჟორდანიას ორმოცის წირვა** და პანაშვიდი გადახდილ იქნება სამშაბათს გიორგობისთვის 29-ს დიდუბეში განსვენებულის სამარეზე.

◆ **ქურდობა:** 1) ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ნ. ს. ვალიევის ბინიდან 650 მანეთის ნივთეულობა წაიღეს 2) ძმ. სესიევის სპირტის სახდელი ქარხანა გასტეხეს ვიღაც უცნობებმა ვაგზლის ქუჩაზე, მაგრამ წაღება ვეღარაფრის მოასწრეს, რადგან პოლიცამ მოასწრო.

— 1) ელისაბედის ქუჩაზე გლეზერის სასარეცხო გაუტეხნიათ და 1000 მან. ღირებული საცვლები წაუღიათ. ნ. გლეზერს ეჭვი მსახურ გ. ბაგრატოვზე მიუტანია და დაუჭერინებია. 2) ნაკადულის ქუჩაზე ა. კოლესნიკოვის ბინა გაუქურდავთ და 300 მან. ნივთეულობა წაუღიათ.

◆ **მკვლელის შეპყრობა.** ნაზარევის ქუჩაზე შავერდოვის ბინაზე მოჰკლეს თბ. მოქალაქე ა. გალუსტოვი. ეხლა პოლიციამ შეიპყრო მკვლელი, რომელიც აღმოჩნდა მ. თ. სოხა.

◆ **სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების გამგეობას და სექციებს** დღეს, 27 გიორგობისთვეს, ღდის 12 საათზე კრება ექნებათ, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხები მოძრავ ბიბლიოთეკის ორგანიზაციისა და ინტერნაციონალ კონცერტის გამართვის შესახებ.

◆ **მასწავლებელთა შორის.** თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა მასწავლებლების საზოგადოების გამგეობამ მოისმინა მოხსენება თავისი დელეგატის პ. წირქაძისა, რომელიც დაესწრო თბილისის მაზრის სარაიონო განყოფილების წევრთა კრებას საგარეჯოში 20 გიორგობისთვეს. როგორც მოხსენებიდან სჩანს, კრებას დაუდგენია, მასწავლებლებმა სავსებით შეასრულონ 1881 წლის სამოსწავლო გეგმა შესახებ რუსული ენის სწავლების დაწყებისა სკოლებში, ე. ი. ამ ენის სწავლება დააწყებინონ ბავშვებს მეორე წლიდან და არა პირველიდან, როგორც ზოგიერთი მასწავლებლები შვრებიან. კრებას უთათბირნია ბ-ნ ოდოევის მიერ შედგენილ წიგნის „წერის ვარჯიშობის სანიმუშო გეგმა პირველდაწყებით სკოლებში“-ს შესახებ. ეს წიგნი უვარგისად უცვნია, რადგან იგი უახლოვდება მუნჯურ მეთოდს. შემდეგ კრებას უთათბირნია კურსების მოწყობის შესახებ და დაუდგენია მოეწყოს კურსები მომავალ ზაფხულზე თბილისში, ხოლო კურსები უნდა იყვეს ზოგადი განათლების ხასიათისა. ბოლოს კრებას აურჩევია განყოფილების გამგეობა და სარევიზო კომისია; გამგეობის თავმჯდომარედ აურჩევიათ საგარეჯოს სკოლის მასწავლებელი ალ. ლეჟავა.

◆ **დ. ხიზანაშვილის** [illegible] რილი ადგილის უქონლობის გამო შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

◆ **შუამდგომლობა.** 25 ამა თვეს, თბილისის გუბერნატორს წარუდგნენ კოოპერატივთა „შრომისა“, „შველისა“ (ყაზანელ მუსულმანების) და „მომხმარებელის“ (მალაკნების) წარმომადგენელნი და ამ კოოპერატივების უმწეო მდგომარეობა დაუხატეს და დახმარება სთხოვეს. ეს კოოპერატივები ვაჭრობენ მუშა საქონლის საკვები მასალით; სამივე კოოპერატივში 2000 წევრია, რომელთაც 7000 სულამდე მუშა საქონელი ჰყავთ. მაგრამ კოოპერატივები ვერც საკვებ მასალას შოულობენ სასყიდლად და ვერც ვაგონებს საქონლის მოსაზიდად, თუ როგორმე ამის შეძენა მოახერხეს. გუბერნატორი დახმარებას შეჰპირდა მათ.

◆ **მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის განყოფილების** რწმუნებულებად კავკასიის ფრონტზე დაინიშნენ: მიხეილ ვ. მაჩაბელი, შალვა ვ. ალექს-მესხიშვილი და რაჟდენ ყ. დათეშიძე; მიხ. ვ. მაჩაბელი მთავარრწმუნებულის ევგენი ვ. კანდელაკის მაგიერობასაც ასრულებს; ბ-ნ კანდელაკის ჩამოსვლას მოელიან, თანახმად მისგან მიღებულ დეპეშისა, ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში; მაშინ დაიწყება ჩაწერილ ხელოსანთა სამსახურში ჩარიცხვაც.

◆ **ზ. ჭიჭინაძის ნაშრომი.** ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა ქართულ ენაზე ისტორიული წიგნები: 1) „ქართულ გაზეთის 100 წლის არსებობა“ პირველ რედაქტორ ს. დოდაშვილის პორტრეტით; 2) მეფე ვახტანგ მე 6, სტამბის საქმის მომწყობი საქართველოში; 3) სარგის თმოგველი და მისი დილარიანი. ყველა ეს წიგნაკები ვ. ტყეშელაშვილის სცფასით არის გამოცემული, დასურათებულია და ღირს ძლიერ იაფად 10—20 კაპ.

### თელავი.

ყვარელში ილია ჭავჭავაძის კოშკი (სადაც პოეტი დაიბადა) უკვე შეაკეთეს. შეკეთება 900 მანეთი დაჯდა.

### ჩოხატაური.

აქ გაჩდა ერთგვარი ავადმყოფობა. ადამიანს მაშინათვე ასალმებს წუთისოფელს. ზოგს ხოლერა ჰგონია, ზოგს კიდევ—შავი ჭირი.

### ხიდნალი.

22 ნოემბერს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზ. სიღ. განყ. გამგეობამ გამართა ნუკრიანის სკოლაში დილა მოსწავლეთათვის და სალამოზე სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში—სალიტერატურო სალამო მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად.

### გორი

15 დეკემბერსა სალამოთი ქ. გორში შესდგება წინ სწარი თათბირი გორის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა, რომელზედაც გადაწყვეტილი იქნება კავშირის დაარსების საკითხი.

### ფოთი.

საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე ვლ. მ. ჯაფარიძე აცნობებს ტელეგრამით სამრეწველო სამინისტროს, რომ მომავალ არჩევნებში, რომელიც უნდა მოხდეს 29 გიორგობისთვეს პეტროგრადში სახელმწიფო საბჭოს წევრის ასარჩევად, ფოთის საბირჟო კომიტეტიდან არჩეულია ინჟინერი ტოკარსკი.

— ამ დღეებში გაიმართება ადგილობრივის საქალებო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ საქველმოქმედო სალამო.

— ქალაქში ფქვილისა და შაქრის უქონლობაა. ვემებსა როგორც ერთი, ისე მეორე ამ ბოლო ხანებში სულ არ მოაქვთ.

### სოხუმი.

კამერჰერმა პრუტჩენკომ აქაურ მემამულე ალექსანდრე შარვაშიძისაგან სოფ. წყურგილში შეიძინა 1,000 დესეტინა მამული. ეს მამული შავის ზღვის პ რად მდებარეობს. მემამულემ დესიატინა 450 მანეთად გაჰყიდა. პრუტჩენკო ტყის (მუხნარია) მოჭრას აპირებს და მერე ზედ თუთუნის მოყვანას. ამავე პრუტჩენკომ სამეგრელოში, მდ. ენგურის პირად, სოფ. ოცარცეში გახსნა ხეტყის სახერხი ქარხანა. ხე-ტყე კი თ-დ დადიანების ტყიდან უნდა ჩამოზიდოს მდ. ენგურით.

— სოხუმის საეპარქიო სასკოლო საბჭო ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოებას სთხოვს გამოუგზავნოს 400 ცალი ხუცურად დაბეჭდილი წიგნი. საბჭოს უნდა ეს წიგნები დაურიგოს იმ მრევლთა სკოლების მოწაფეთ, საცა წირვა-ლოცვა ქართულადაა.

## შავი ქვა*)

როდესაც გაზ. „საქართველომ“ წამოაყენა ერთი უდიდესი საკითხი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, სახელდობრ, ჭიათურის შავს ქვაზედ—საზოგადოების ერთი ნაწილი „სახალხო ფურცლის მეთაურობით გულგრილად შეხვდა მას. შემდეგ, როცა „საქართველომ“ არა ნაკლებ საყურადღებო საკითხი დააყენა, თუ ვინ უნდა იზრუნოს ამ დაკარგულ „ოქროს ვერძის“ დაბრუნებაზედ და ვინ უნდა გაუძღვეს ამ საქმეს—„სახალხო ფურცელმა“ უბრალო საკინკლაო საგნად გადაქცია და გადაჭრით გამოეკამათა „საქართველოს“: შავი ქვის მრეწველთა საბჭო ამას ვერც იკისრებს და არც მისი საქმეაო. მაგრამ გავიდა ხანი, ქართველმა საზოგადოებამ შეგნებულად დააფასა ჭიათურის საქმის სიდიადე, თვითონ საბჭომ თითქო უკეთ განსაჯა თუ რა არის მისი საქმე და რა არა (თუმცა საბჭოშიაც და „სახალხოშიაც“ ერთი იდეის მიმდევარნი სხედან) და „სახალხო ფურცელიც“ აედევნა საზოგადო აზრს. თან და თან გაუტკბა „შავი ქვა“ და უკანასკნელ დღეებში უცნაური მეთაურითაც მოევლინა ქვეყანას: თუ ვისმე შეუძლიან ჭიათურის საქმის ხელმძღვანელობა ან თუ ვიზედმე უპრიანია—ეს ერთად ერთი საბჭოა და მთელმა ქართველობამ თვისი ზრახვანი და ფიქრი მარტო იქით უნდა მიმართოს, რომ საბჭო იყოს ბატონ-პატრონი ამ უდიდესი ეროვნულ-ეკონომიური საქმისა.

ჩვენ არ გამოუდგებით იმის დაწვრილებით გამოკვლევას, თუ რატომ მოხდა ასეთი „აზრთა შებრუნება“,—ეს შორს წაგვიყვანდა, მაგრამ გაკვრით მაინც უნდა იყოს აღნუსხული, რომ ისტორიამაც იცოდეს—თუ რომელ ჯგუფს რაგვარი შეხედულება ჰქონდა ერთ-ერთ საეროვნო საქმეზედ. ასეთი, „სახალხოს“ ცვლილება სულ მცირედით აიხსნება: ჯერ ერთი როგორ მოხდა და გოგოლის დობჩინსკისავით პირველად იმან არა სთქვა „ეე..“, შემდეგ, როცა არა მარტო „საქართველო“, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებაც აზმაურდა თანაგრძნობით ამ საქმისადმი და „სახალხო ფურცლის“ პოლიტიკური თანამოაზრენიც კი „საბჭოდან“—რაღა დარჩენოდა მათს ხელმძღვანელ ორგანოს, რომ კუდში არ გაჭყოლოდა უმრავლესობას. აკი გაჰყვა კიდეც; მაგრამ ესეთი როლი მაჩანჩალასი არ ეგონა შესაფერი ხელმძღვანელისათვის და აი დღეს გვესმის უკვე ბელადისებური ძახილი: არავინ ფიქრიც არ გაბედოს, რომ საბჭოს იქით რისამე გაკეთება შეიძლებოდეს.

მაგრამ უნდა ბოდიში მოვიხადო „სახალხო ფურცელთან“ და იქნება „საქართველოსთანაც“, რომ პირველის უკანასკნელი აზრი და უკანასკნელისა კიდევ პირვანდელი, ე. ი. რომ მრეწველთა საბჭოა ის ორგანო, რომელიც შესძლებს ამ უდიდეს საქმის წარმოებას—ეს აზრი, ვერ არის დასაბუთებული და არც მისაღებია ბევრის მიზეზით. პირველი ისაა, რომ საბჭოს ჯერჯერობით უფლება არა აქვს უძრავი ქონების შეძენისა და გარდა იმისა, რომ საეჭვოა ასეთი უფლება მოიპოვოს,—სანამ მოიპოვებდეს, შესაძლებელია გერმანელთა შავი ქვის მამულებისა და მფლობელობის ლიკვიდაცია უკვე გათავებულიც იყოს.

მაგრამ, ვსთქვათ, საბჭომ გადალახა ყველა დაბრკოლება და შეიძინა უფლება შეძენისა,—საკითხავია, თუ საიდ უნდა იშოვოს ფული ამ უფლების განსახორციელებლად? მართალია, დღეს ფული გაიაფებულია და ადვილი საშოვნელიც, მაგრამ მუქთად მაინც არავინ იძლევა და რა გარანტიის ქვეშ შეუძლიან უფულო და უმამულო ორგანოს—ფულის შოვნა მამულისათვის.

როგორც გავიგეთ, საბჭოს აზრადა აქვს საფუძო გადასახადის გადიდების უფლების მოპოება და ამ უფლების დადება ფულის შოვნის გარანტიად. ეს აზრი, არსებითად იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ ვიდრე ამ საძნელო უფლებას მოიპოვებდნენ, სულ ადვილი შესაძლებელია თვით საქმე ხელიდან წაგვივიდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით მამულის და საქმის გარანტიითაც შეიძლება ფულის შოვნა, მაგრამ ეს საშუალებაც სუსტია ნაღდ ფულთან საბრძოლველად, რომელსაც, ცხადია, წარმოადგენენ მრავალი კაპიტალისტები.

აი ყველა ეს მოსაზრება თუ გავითვალისწინეთ—დავინახავთ, თუ რამდენი სათუო პირობა და დაბრკოლება შეიძლება გადაეღობოს საბჭოს მის სურვილში და თუ მივიღებთ მხედველობაში უმთავრესს, რომ **დაკარგული უნდა დავიბრუნოთ** და ისევ ეროვნულ კალაპოტში ჩავაგდოთ ის შაცოცხლებელი წყარო, რომელიც უცხოელებმა თავისკენ მიიგდეს, დავინახავთ, რომ ამისათვის საბჭო ეხლაც უღონოა და შემდეგში ხომ უფრო უღონო იქნება. მართლაც, საბჭო, არჩეული მრეწველებისაგან, უეჭველია, როგორც ყოველი არჩეული ორგანო, იქნება ისეთი, როგორიც ამომრჩეველია და დღეს თუ შემთხვევით ქართველები არიან სათავეში, ხვალ შეიძლება უცხოელები გახდნენ. და ეს სულ ადვილი იქნება ომის შემდეგ, როცა აუარებელი კაპიტალისტი მიაწყდება ყოველ მხრიდან ყოველს წარმოებას და დახარბებული წვრილი და სხვილი მესაკუთრენი იძულებულნი იქნებიან მიჰყიდონ თავისი მიწა და უფლება. მაშინ შემადგენლობა ამომრჩევლებისა შეიცვლება და შეიცვლება თვით საბჭოს შემადგენლობაც. მართალია თვით შეძენა უდიდესი წარმოებისა ძალასა და ხმას შეჰმატებს საბჭოს, მაგრამ სამაგიეროდ ეს უფრო გააძლიერებს სხვა მრეწველთა ბრძოლასაც საბჭოსთან, როგორც უკვე მრეწველის, წინააღმდეგ. მაგრამ ვიფიქროთ ერთ წუთსა, რომ საბჭომ სძლია ყველაფერსა, მოიშორა ყველა დაბრკოლება, ყველა „თუ“, და გახდა მესაკუთრე, მრეწველი. ამ შემთხვევაშიაც დაისმება ერთი პრინციპიული საკითხი—სასურველია ესა თუ არა? ჩვენის აზრით არა: ეხლა საბჭო ადმინისტრატიული ორგანოა მხოლოდ, დახელოვნებული და გამსჭვალული საკულტურო საქმეებით, მოქმედებით, რომელიც მის ერთად-ერთ დანიშნულებას შეადგენს და როცა იგი თვითონ შეიქმნება მესაკუთრე-მრეწველად—იგი უნდა განიმსჭვალოს სხვა ფსიხოლოგიით და მუდამ ორჭოფულ მდგომარეობაში იყოს, რადგან ის, რაც საბჭოსთვის, როგორც კულტურულ დაწესებულებისათვის — სასურველი და მომგებიანია, მისთვისვე, როგორც მრეწველობისათვის—საბრძოლველი და საზარალო იქნება.

აი ყველა ამ ზემო აღნიშნულის გათვალისწინებიდამ გამომდინარეობს ჩვენი ის აზრი, რომ საბჭო უნდა ისევ საბჭოდ დარჩეს თავისი ძვირფასი კულტურული დანიშნულებით და გაძლიერებული ახალის უფლებით, მაგრამ მესაკუთრედ კი გამოვიდეს სხვა რომელიმე დაწესებულება, რომელსაც არც ერთი ზემოაღნიშნული დაბრკოლება არ გადაეღობება წინა. ასეთ დაწესებულებად ჩვენ მიგვაჩნია დღეს-დღეისობით მხოლოდ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა. მართალია, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული ნაწილისათვის ეს საფრთხობელა სიტყვაა, მაგრამ არსებითად ყველა მისკენ იხრება, როცა სიტყვიერების ხანა გაივლის ხოლმე და საქმე საქმეზედ მიდგება.

მართლაც, თავად-აზნაურობას აქვს უკვე უფლება უძრავის შეძენისა და ამ უფლების მოპოებაზედ არ დასჭირდება დროსი და ენერგიის ხარჯვა. უფლების გარდა საკმაო სახსარიცა აქვს, რომლის გარანტიით ფულს რამდენსაც უნდა იშოვის და არც საფუძო გადასახადის უფლების ძებნაა მაშინ საჭირო. მაგრამ უმთავრესი შემდეგია: თავად-აზნაურობა, როგორც ინსტიტუტი, უფრო ერთვვარი და უცვლელია ეროვნულად, ვიდრე საბჭო და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენთვის, როგორც ერისათვის, არამედ მთავრობისა და იმ სალიკვიდაციო კომისიისათვის, რომლის ხელშიაც არის ბედი გერმანელთა წარმოებისა. აღნიშნული სალიკვიდაციო კომისია მოითხოვს, უეჭველია, რომ მყიდველი იყოს რუსეთის ქვეშევრდომთაგან შედგენილი საზოგადო დაწესებულება, საკმაოდ მტკიცე და შეძლებული, რომ შეუძლებელი ლა გახდეს მისგან გადასვლა წარმოებისა, რომელი გზითაც უნდა იყოს, უცხოთა ხელში. ამ ყველა პირობათა მტვირთველი მხოლოდ თავად-აზნაურობაა.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ საკმაოდ დაამტკიცა თვისი, როგორც კულტურული ისე ეროვნული ღირებულობა და შეიძლება ეს საეკონომიო საქმეც ნდობით გადავცეთ მასა. მაშინ სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა და სხვა ადგილს დაიჭერს მრეწველთა საბჭო, როგორც კულტურულ-ადმინისტრატიული ორგანო. მაშინ მის უფლებას საფუძო გადასახადის გადიდებაში აღარავინ ეყოლება მოწინააღმდეგე თითქმის, რადგან საზოგადო აზრის ზეგავლენით და ეროვნულ ინტერესების ძალდატანებით—ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას არ შეეძლება წინააღმდეგობა, რადგან ყველა მისი შემოსავალი საზოგადო საქმეებს უნდა მოხმარდეს. მრეწველთა საბჭოს შეეძლება მაშინ ყოველგვარ დათმობაზედ დაიყოლიოს თავად-აზნაურობა და მასთან შეთანხმებულად გაანაწილოს ჭიათურის სიმდიდრის ხრული ნაყოფი თანაბრად მთელს ჩვენს ქვეყანაზე.

ქართველი საზოგადოება იცნობს, როგორც ქართველ თავად-აზნაურობის მოქმედებას, ისე საბჭოსასაც და მათი შეთანხმება ამ დიდ საქმეში, წინამორბედი იქნებოდა ჩვენი საორგანიზაციო უნარობისა, რაც უეჭველია მეტად დიდ ძალასა და სახსარს მოგვცემდა უკეთეს მერმისისათვის ბრძოლაში.

„ქლდე“-ელი.

*) თუმცა პატივცემული ავტორი ჩვენი გაზეთის მიერ წინათ გამოთქმულ შეხედულებას გერმანელების მამულების ლიკვიდაციის შესახებ, არ ეთანხმება, მაგრამ ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგან სასურველად მიგვაჩნია აზრთა გაცვლა-გამოცვლა შავი ქვის საკითხში.

რედაქცია

## სახელმწიფო სათათბირო

**სხდომის განახლება.**

სხდომა იხსნება 2 ს. და 7 წ. თავმჯდომარეობს ნეკრასოვი.

**სნეჟკოვი** ეხმრობა სათათბიროს მიერ მიღებულ მთავრობის დეკლარაციის გარდასასვლელ ფორმულის I-ლ მუხლს და აქვეყნებს თავის სიტყვას სათათბიროს თავმჯდომარის მიმართ, სასურსათო საქმის შესახებ.

**შინგარიოვის სიტყვა.**

სასურსათო საკითხი ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია. ომის კეთილად დაგვირგვინება სავსებით დაკავშირებულია ჯარის ზურგის გამაგრებისაგან. ჩვენ ვიცით ჩვენი მტრის დაცინვა: „ერი, რომელსაც ყველაფერი აქვს და მასთან არაფერი“ საფრანგეთმა, ინგლისმა და გერმანეთმა შესძლეს ყოველივე სიძნელის გადატანა ორგანიზაციის წესიერი მოწყობით. ორატორს მოჰყავს შედარებითი ფასები სხვა და სხვა სახელმწიფოში. სახნავ-სათესის სივრცე რუსეთში თვალსაჩინოდ შემცირდა და ამაში ბრალი მხოლოდ მთავრობას ედება, რადგან მან შესაფერი ზომები არ მიიღო და ერთი უწყება ამ საკითხის გამო მეორეს ებრძოდა. ჩვენ არ ვიცით, როგორი არის ეხლა სასურსათო საქმის მდგომარეობა რუსეთში, მაგრამ მინისტრთა თავისუფალი სკამები გვაჩვენებს, რომ მთავრობა პასუხს ვერ მოგვცემს.

ორატორი ჩერდება შესასყიდ ოპერაციებზედ და აღნიშნავს, რომ შესყიდულია მხოლოდ მე-18-ტე ნაწილი იმისა, რაც უნდა შესყიდულ ყოფილიყო.

ფრონტის საჭიროებათა განხილვისაგან სჩანს, რომ მთავრობას არ შეუძლია ჯარის აუცილებელი საჭიროებანიც კი დააკმაყოფილოს.

მტკიცე ფასების დაწესება გვაჩვენებს, რომ აწი აღარ შეიძლება კერძო გაცვლა-გამოცვლით დაკმაყოფილება. საფრანგეთსა და ინგლისში უკვე შემოიღეს იძულებითი წესი და ჩვენშიაც უნდა შემოღებულ იქმნას. პურის ვალდებულება სწორედ უნდა იქმნას განაწილებული, მაგრამ ხალხმა, რომელიც ყველაფერს იძლევა, უნდა იცოდეს, თუ ვის მისცეს იგი.

ხალხი მისცემს პურსაც და ჯარისკაცებსაც, მაგრამ ის, რაც მას აკლია, უნდა მიიღოს. სასოფლო მეურნეობა სახელმწიფოს თავდაცვის საქმედ უნდა იქმნას აღიარებული. გარემოებათა რკინის ლოღიკით ჩვენ შევდივართ სამხედრო სოციალიზმში, რომელმაც გერმანეთი უმწვერვალესობამდე აიყვანა. მხოლოდ საქმის წესიერად მოწყობით მივაღწევთ კეთილ დასასრულს და მთავრობის არსებული სისტემა კი ყოვლად შეუძლებელია.

**სამიწადმოქმედო სამინისტროს რწმუნებულის სიტყვა.**

სამიწადმოქმედო სამინ. რწმუნებული **ლელიავსკი** შეცდომებს ინანიებს და აუცილებელ საჭიროებად სთვლის მტკიცე ფასების მოსპობას. სურსათის გატანის მოსპობა იქნება დიდძალი პურის რეკვიზიცია.

დარჩენილ ზედმეტ სურსათის ბატონი თუ სახელმწიფოა, რაღა საჭიროა იძულებითის წესის შემოღება. მტკიცე ფასებმა კერძო ვაჭრობას საგრძნობლად ავნეს. მრავალი ცირკულიარი გაუგებარი დარჩა და ამავე დროს არაფერია გაკეთებული სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად. სამეურნეო იარაღი, საზღვარგარეთის ნაცვლად, რუსეთის ქარხნებში იყვნენ შეკვეთილნი, მაგრამ რკინის უქონლობისა გამო ვერ გააკეთეს. სამიწადმოქმედო დეპარტამენტისაგან სასუფრო სიტყვების გარდა ვერაფერი მივიღეთ. ალბათ, ფიქრობენ, რომ თუ გერმანელნი ტეხნიკით გვჯობნიან, ჩვენ კერძო თათბირებით ვაჯობებთ. სოფლის მეურნეობა უმუშახელოდ დარჩა. ტყვეები აქეთ-იქით უმიზნოდ და უწესოდ იგზავნებოდნენ.

სამიწადმოქმედო დეპარტამენტი არაფერს სცდილობდა ინვენტარის შესადგენად საფრანგეთმა და გერმანეთმა ყველაფერი მოაგვარა დაპყრობილ ქვეყნებში, ხოლო ჩვენი ჩინოვნიკები ვოლინშიაც არ წასულან. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მოსპობილ იქმნენ ეგრედ წოდებულნი „მთავარ“ და „განსაკუთრებულ“, მაგრამ **ხშირად** ცუდი რწმუნებულნი. სასურსათო საქმე თუ ვის ხელში იქნება, ან რომელ კაკარდას დაიკრავს ქუდზედ პურის რწმუნებულნი, საქმისათვის სულ ერთია, რადგან საქმე უწყებებში კი არ არის, არამედ პრინციპში, რომელიც ძირათადათ უნდა შეიცვალოს. (ტაში).

კრება დროებით შესწყდა.

4 ს. და 10 წ. კრება ისევ განახლდა.

**როდიჩევი** ფიქრობს, რომ სასურსათო საქმე ყველაზედ მნიშვნელოვანია და მას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. ხალხი გამოიღებს ყოველსავე მსხვერპლს, მაგრამ უნდა იცოდეს, თუ რისთვის გამოიღოს. რუსეთის ხსნა კიდევ შესაძლებელია, და სასურსათო საქმეც მოგვარდება, თუ მთავრობა ისეთებისაგან შესდგება, რომელნიც სათათბიროსთან შეთანხმებით იმუშავებენ. ხალხი მხოლოდ ისეთ მთავრობას გაჰყვება, რომელიც მისი ნდობით იქნება აღჭურვილი. (ტაში მარცხნივ).

**კრილოვი, ბარიშნიკოვი და სინადინო**—ასურათებენ სასურსათო საქმის არევ-დარევას.

სხდომა დაიხურა 5 ს, 58 წ. შემდეგი სხდომა დანიშნულია სამშაბათს, 29 გიორგობისთვის.

## დრამატიული საზოგადოება და ბ-ნი ლელიანი*)

არ შემიძლიან ჩემი სიხარული საზოგადოებას არ გავუზიარო, რომ ქართულ თეატრის სვე-ბედზე თვით საზოგადოება ალაპარაკდა, [illegible] გარანტია არის, რომ ჩვენი თეატრი [illegible] მდგომარეობას და ნამდვილს კალაპოტში ჩადგეს მისი მართვა-გამგეობა. არ შეიძლება სიხარულით არ შეხვდეს კაცი ბ-ნ ლელიანის წერილს. ისეთი მიუდგომელი, ნამდვილი მწვავე საჭიროება ალაპარაკებს და ასეთის ცოდნით ეხება საგანს.

მხოლოდ ერთი შენიშვნა პატივცემულ ავტორს. ბ-ნი ლელიანი ამბობს, რომ „ჩვენ სისტემის წინააღმდეგი ვართ და არა ადამიანებისა“. სრული ჭეშმარიტებაა, რომ რომელი საქმეც უნდა იყოს, მის სისტემას, მართვა-გამგეობას პირველი მნიშვნელობა აქვს მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ უდგას სათავეში ამ მართვა-გამგეობას; როგორია შემადგენლობა იმ კოლეგიისა, რომელიც საქმეს აწარმოებს? რომელიმე სკოლას სათავეში „ფლაქსმანები“ უდგანან, თუ „პესტალოცები“, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; აგრეთვე თეატრის, თუ ჟურნალის და სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებების საქმეც.

როგორც თვით ბ-ნი ლელიანი სამართლიანად შენიშნავს: „რომ უაზრობა იქნება კარგს ზეინკალს კარგი ნალების კეთებაც მოვსთხოვოთ“. ასეთივე უაზრობა იქნება, რომ ექიმს, ვექილს და ჟურნალისტს, რომელიც დილის რვა საათიდან, საღამოს რვა საათამდე თავის ავადმყოფებისა, კლიენტებისა და მკითხველებისათვისა ჰფიქრობს, მოვსთხოვოთ, რომ შემდეგ, შუა ღამისას, დასვენების მაგიერ, თეატრის აშენებისა, მსახიობების უზრუნველყოფისა და მხატვრული პიესებისთვის იფიქროს“.

სრული ჭეშმარიტებაა. აწინდელმა გამგეობამ უნდა შეიგნოს, რომ სწორედ კერძოთ ყველა მათგანი ასეთი ასპარეზის ხალხია, მათი დრო ხმარდება სულ სხვა დარგს, არა ნაკლებ საჭიროს ქართულ საჭიროებისათვის და დანარჩენი დრო კი, თუ კი რჩება, **სხვათა შორის** ხმარდება თეატრს. სწორედ ამ „სხვათა შორისობამ“ წარმოშვა ის, რომ ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ბევრი ისეთი **დაუდევრობა**, ისეთი საქმის **უგვანობა და უწესრიგობა** დაატყდა ქართულ თეატრს, რომელიც არ მოხდებოდა, თეატრს რომ საკუთარი მზრუნველები და პატრონები ჰყავდეს, დიაღაც თეატრის ახლოს მდგომი და ხელოვნების მცოდნე

და რომ ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ბევრი დაუდევრობა დაატყდა-მეთქი თეატრს, ეს მოგონილი ფრაზები არ არის. **გადაავლეთ თვალი** ჟურნალ-გაზეთებს, თუნდა მხოლოდ განსვენებული გძელიშვილის წერილებიც კი კმარა, რომელიც ისეთის გულის ტკივილით უთითებდა ზომებს, როგორ უნდა გამოკეთდეს ქართული თეატრის მდგომარეობა. ერთი უბრალო ფაქტი: თეატრი რომ დაიწვა, მთელი საქართველო ამოძრავდა, მიუხედავად ომის საშინელი ქარ-ცეცხლისა, ერთსულოვნათ აღმოხდათ კვნესა—შავი ზღვიდან დაწყებული, გურგენის ზღვამდე, რუსეთში მყოფ, თუ ციმბირსა და საზღვარ გარეთ მყოფ ქართველობამდე, განურჩევლად წოდე-

*) იხ. წერილი „დრამატიული საზოგადოება“, გაზ. „საქართველო“, № 250.

## ქართული სახალხო მუსიკა

გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია ცნობილ რუს სამუსიკო კრიტიკოსის **მ. ივანოვის** წერილი ქართულ სახალხო მუსიკის შესახებ. შემოკლებით მოგვყავს ეს წერილი.

„დიდი ხანია, რაც გვიკიჟინეს, რომ ჩვენ ზარმაცნი და ცნობის მოყვარეობას მოკლებულნი ვართ. ეს შენიშვნა დღემდისაც საბუთიანად რჩება. ისე ვუქცევით ისეთ საკითხებში, რომელთაგანაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ძლიერება და ეროვნული თავმოყვარეობაა დამოკიდებული, ისე ვეპყრობით საზოგადოებრივ, საეკონომიო, სალიტერატურო, ან სხვა ასეთგვარ საკითხებს. აი, მაგალითად, აჰილოთ ჩვენი განაპირა ქვეყნები, კავკასია, ამ ქვეყნით ჩვენ უკვე ასი წელია ვამაყობთ, მაგრამ მას სრულებით ვერ ვიცნობთ. როგორ ცხოვრობს იქაური ხალხი, რას ფიქრობს და ან რა სურთ? მათნი ზრახვანი ჩვენთვის სრულებით დაფარულია და იმათზედ ისევ ლერმონტოვის დროის წარმოდგენისა ვართ. მაგრამ საქართველოში უკვე დაიწყო გაღვიძება და მის სულიერ ცხოვრებაში დიდი ინტერესი ემჩნევა.

ჩვენ ისე მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ ქართველი ერი ღრმა ძილს მიეცა და ყოველივე დამოუკიდებელ ფიქრზედ უარი სთქვა და ეკონომიურ სფეროშიაც კი პირველობა სომხებს დაუთმო, რომ გვიკვირს იმის გაგონება, რომ საქართველოს ძილი არა სურს და თან და თან იღვიძებს.

რასაკვირველია, ყველა დარგში ერთნაირად არ ფხიზლდება, მაგრამ გამოღვიძება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყურადღებასაც იპყრობს, სხვათა შორის, ეს მუსიკას ემჩნევა.

თბილისში უკვე რამოდენიმე ქართველი მუსიკოსია. ესენი თავის ეროვნულ მუსიკის განვითარებით ფრიად დაინტერესებულნი არიან; ისინი სწერენ არა მარტო ხმისა და ორკესტრისათვის, არამედ ოპერებიცა აქვთ, როგორც მაგალითად, დ. არაყიშვილი („შოთა რუსთაველი“). აგროვებენ ხალხურ სიმღერებს და ამ შეგროვებას, ან გამოკვლევას მეცნიერულისა და ეთნოგრაფიულის მხრით იხილვენ, რასაც რუსის მუსიკოსებს ვერ ვამჩნევთ.

რადგანაც ამ წერილში მე მსურს ვილაპარაკო მხოლოდ კავკასიის და სპეციალად ქართულ მუსიკის შესახებ, მე შევეხები მხოლოდ დ. არაყიშვილის წერილებს და მის კრებულთ: „სამუსიკო-საეტნოგრაფიო მიმოხილვათა ფართო სათაურით მან გამოსცა შემდეგი წერილების „დასავლეთ საქართველოს სახალხო სიმღერები“, „ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედება“. ამ თვალსაჩინო გამოკვლევათა გარდა არაყიშვილმა ბევრი სხვა საერთო ხასიათის წერილები დაბეჭდა ქართული მუსიკის შესახებ, რომელთაც ამ წერილში მე არ შევეხები.

„საქართველოშიო—ამბობს ავტორი,—არ შეიძლება კაცმა არ იმღეროს. ეს პატარა მხარე, თავის მომხიბლავი სილამაზით—გაიძულებსთ იმღეროთ. მშვენიერი ჰალები, მთანი და ტყენი, რომელთა შორის იფლებიან ქართველთა სახლები, ფრიად მოქმედებენ ადამიანის პსიხიკაზედ და ესთეტიურ გემოვნებაზედ. თვალისმომჭრელი მზე, ბუნების საუცხოვო სურათები, და მრავლად გაბნეული სილამაზის მარგალიტები, გაიძულებენ ეთაყვანოთ ამ სილამაზეს და ქართველმა ერმაც ეს სავსებით იგრძნო: მან არამც თუ უმღერა, როგორც შეეძლო, თავის გარემოს, არამედ ჰიმნებიც კი შესთხზა მის სადიდებლად, და ეს ჰიმნები სამადლობელ საგალობლად გარდიქცნენ ამ სილამაზის შემქმნელისადმი“.

როდესაც ქართველ პატრიოტის ამ აღტაცებულ სიტყვებსა ვკითხულობთ, ძალაუნებურად გოგოლის წერილი გახსენდებათ რუსულ სახალხო სიმღერების შესახებ და რუსების განსაკუთრებულ მუსიკალობაზედ. ყოველ შემთხვევაში, ფრიად საკვირველია, რომ ჩვენმა მუსიკოსებმა, ტურისტებმა და იმ რუსებმა, რომელნიც მუდმივად საქართველოში ცხოვრობენ და მუსიკალური გრძნობა საკმაოდ განვითარებული აქვთ, ყურადღება არ მიაქციეს ქართველთა განსაკუთრებულ მუსიკალობას და ორი სიტყვა მაინც არა სთქვეს მის შესახებ. რომ ბ-ნი არაყიშვილის გამოკვლევანი არ ყოფილიყო, ჩვენ არც ეხლა გვეცოდინებოდა რამე ხალხურ სიმღერების იმ ძვირფას განძზედ, რომელიც ქართველებს აქვთ.

პატარა ქართველი ხალხი რამდენიმე ტომისაგან შესდგება და თვითეული მათგანი განსხვავებულია სიმღერის მხრივ. ზოგიერთ ქართველ ტომი უფრო პრიმიტიულ საფეხურზე სდგას და მის სიმღერა ერთს წერტილზეა გაყინული: ის ერთხმიანია და ღარიბი შინაარსით. მაგრამ შემდეგ სიმღერა ორხმიანი და ყოველ მხრივ მდიდარი ხდება. ქართული სიმღერის დამახასიათებელი თვისება მისი მრავალხმიანობაა. მრავალხმიანი სიმღერა გვხვდება თვით მთიელ ქართველებში, მიუვალ და სუსხიან ადგილებში რომ სცხოვრობენ. მაგრამ ყველაზე მრავალფეროვანი ქართული ხმები დაბლობებში ხდება. „შეხედეთ, ამბობს არაყიშვილი, როგორი სიმღერები აქვთ ქართველებს! აქ შეხვდებით გმირულ, ისტორიულ, სალაშქრო, ლირიკულ, საქორწილო, სამეჯლისო, საცეკვაო, საფერხულო, სასაყვარულო, სამუშაო, სამგლოვიარო, სახუმარო და სხვა ბევრს სასიმღერო ლექსებს“. ეს მართლაც დიდი მრავალფეროვნებაა: სჩანს ქართველი ხალხის სულიერი წყობილება არა-ჩვეულებრივად მდიდარია. ზოგიერთი ლექსის მხატვრული სახეები სინაზესა და მგრძნობიარობას მოწმობენ, ზოგიერთს კიდევ ისეთი ხასიათი აქვს, თითქო ეს უბრალო ხალხის მიერ კი არ იყოს შექმნილი, არამედ დიდაქტიური, მეცნიერული პოეზია იყოს. ნამდვილი ფილოსოფიური შინაარსის სიმღერაც გვხვდება. ფილოსოფიური და რელიგიური აზრები ხანდახან რუსულ სასულიერო ლექსებშიაც გვხვდება, მაგრამ აქ ბუნდოვანად და გაურკვევლად არის გამოთქმული. სამხრეთელი ქართველი კი თავისი ხასიათისა და შინაგანი ბუნების მიხედვით ნათლად, გარკვეულად და მოკლედ ლაპარაკობს.

მრავალმხრივია არა მარტო ქართული სიმღერების შინაარსი, არამედ მათი ჰანგები და ფორმებიც. დიდად საინტერესოა მუსიკალური მხარე ქართული სახალხო სიმღერისა და გერმანელებმა, რომელნიც რუსების წინააღმდეგ ბეჯითები და ცნობისმოყვარეები არიან, ამ გარემოებას კიდეც მიაქციეს ყურადღება. როგორც არაყიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, თვით სამხმიანობა ქართველი ხალხის მაღალს მუსიკალობას ამტკიცებს, ის ამბობს: „ასეთი მოვლენა ჯერ არსად სჩანს არც ევროპასა, არც აზიაში. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ქართული სახალხო მუსიკა კონკურენციის გარეშე სდგას. პირიქით, რუსული, სკანდინავიური და სხ. ხალხური სიმღერა მას მეტოქეობას უწევს, მაგრამ სამხმიანობა და მისი ევოლუცია იშვიათი მოვლენაა, ჯერჯერობით უბადლოა სახალხო მუსიკაში და აშკარად მოწმობს იმ ხალხის კულტუროსნობას, რომელსაც ის შეუქმნია.

არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ბ. არაყიშვილის აზრს, რომ ქართული სიმღერა საქართველოს მაღალ კულტუროსნობას მოწმობს ისტორიულ წარსულში. მართლაც, ქართველებს ხომ XII საუკუნეში ისეთი დიდი მგოსანი ჰყავდათ, როგორიც არის შოთა რუსთაველი, ნაზ გრძნობების და ჰუმანიური აზრების შემომქმედი.

ბ. არაყიშვილი თავის კრებულს შენიშვნებს ურთავს, რომელნიც გარკვეულნი და ნათელნი არიან ტეხნიკურ-მუსიკალური მხრით. ამ მხრივ მის შრომას ბევრად მეტი ფასი აქვს, ვიდრე აქამდე გამოსულ რუსული სიმღერების კრებულებს, რომელნიც შემგროვებლების პირადი შეხედულებების ნაყოფს წარმოადგენენ. პატივი და სახელი პატარა საქართველოს და მის მკვლევართ, რომელნიც სხვაგვარი წესითა და შეხედულებებით ეკიდებიან საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა, სამსახურისა, თუ მიმართულებისა.

მერე, გამგეობამ ისარგებლა ამ მწვავე მომენტით, მთელს საქართველოში დაარსდა კომიტეტები ფულის ფიცხელი შეგროვებისთვის, გაგზავნა სპეციალური კაცი, ან კომისია ამეების მოწყობისათვის?..

ხელები კი გამოწვდილი იყო. ომი არაფერ შუაში იყო, რადგან უკანასკნელი მეეტლიდან დაწყებული ხელზედ მოსამსახურემდე და დაწესებულებიდან ხომ, ყველა წევრი მოვალედ რაცხდა თავს, ჯამაგირის წვლილი გადაედო, მხოლოდ სად იყო მკვეთრი ორგანიზაცია? ვისი მოვალეობა იყო ეს? რასაკვირველა, გამგეობისა. თუ არა ვცდები, ამისთანა რამესაც კი მოვკარი: თელავიდან, თუ, არ მახსოვს, ველისციხიდან მოვიდა წინადადება, „გვინდა კომისია დავაარსოთ ფულის შემკრებათ და რა წესებით ვიხელმძღვანელოთო!!—ჯერ ეს საშინელი ომია და ამისთანებით ვერ შევაწუხებთ საზოგადოებასო, მერე როდესაც დამშვიდდება ხალხი, მაშინ მოვკიდებთ ხელსო“. მიმინდვია საზოგადოებისთვის, რამდენად იყვნენ მართლები. ბ-ნებო, ომს დასასრული არ უჩანს და მივკეტოთ ყველა ჩვენი დაწესებულებები და როცა ომი გათავდება, მაშინ დავიწყოთ თავიდან, მაგრამ მეშინიან, რომ მაშინ კიდევ იმდენად იქნება ხალხი მოღლილი, გალატაკებული, რომ... რომ ქართული თეატრი მეოცდაათე საუკუნეში თუ გაიხსნება! (სხვათა შორის, ამ მოკლე დროში გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ ქთ. დრამატ. საზოგადოება და საამშენებლო კომიტეტი ფიცხლად შეუდგა სათეატრო თანხის შეგროვებასაო. მაგრამ განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არჩევნები უკვე მოახლოვებულია და უნდათ ერთი კოზირი მაინც ხელში იქონიონ. მერე განა ეს საქმიანობაა)? და რამდენი ამისთანა პატარა ფაქტებია; რამდენი წვრილმანი შეეძლოთ განეხორციელებინათ ქართ. დრამატ საზოგადოებათ„ რაც თვითონვე დაადასტურეს „სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე“! ისინი დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ამ ყრილობის ოქმების ბეჭვდას შეუდგნენ, ისიც განსვენებული ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის სურვილის თანახმად და მისი საფასურით, თუმცა, სამწუხაროდ, ესეც არ არის ჯერ დაბეჭდილი. სასცენო წვრილმანების განხორციელება კი ომის გათავების შემდეგისთვის გადასდეს.

კიდევ ბევრი ფაქტების მოტანა შეგვეძლო, მაგრამ ეს არ არის ჩვენი საგანი. გულწრფელი რჩევა ქართულ დრამატ. საზოგადოების დღევანდელ გამგეობას, რომ იქონიონ მოქალაქობრივობა და თვითონვე დაუტევონ მართვა-გამგეობა, დაუთმონ ასპარეზი უფრო ახალძალებს, უფრო მომქმედდთ, ენერგიულთ და უმთავრესად უფრო მოცლილთ ათი-ათასი მოღვაწეობისგან, რომ ერთხელ მაინც განიცადოს ქართულმა თეატრმა, რომ მას ნამდვილი გულშემატკივარი ჰყავს, მისთვის მოცლილი მშობელი დედა და არა დედინაცვალი ბ-ნებო, იყოს მომავალი კრება უფრო ფართო, გამონახეთ ახალი ძალები, რომლებსაც იქნება ჯერ იერლაყები ქართულ მოღვაწეობისა არ აქვთ, ჯერ არ არიან შენიშნულნი, მაგრამ, შესაძლებელია, უკეთესად წაუძღვნენ საქმეს. ფართო საზოგადოებას მართებს მოემზადოს ამ არჩევნებისათვის, ეძებოს ასეთი პირები. თავის მართლება კი, რომ ხალხი არა გვყავსო, დიდი შეცდომაა. რატომ ეძებთ ამ ხალხს მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო წრეში. ხომ შეიძლება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეშიაც გავიხედოთ და თუ თბილისმა ვერ მოგვცა ამ ნაირი კაცები, სხვა მხრიდანაც მოვიყვანოთ მომქმედი და ენერგიული მუშაკები. თუ არა და ვერ დავიჯერებ, რომ თბილისში მუშაკები არ მოიპოვებოდნენ, მხოლოდ ვიწრო წრეს, ნათესავ-ნათლიმამებში ძებნას, თავი უნდა გავანებოთ და კრება ფართო უნდა იქნეს.

და ასე, ვიმეორებ, როგორც მართვა-გამგეობას აქვს მნიშვნელობა, ეგრევე იმას, თუ ვინა სდგანან ამ მართვა-გამგეობის სათავეში.

დღევანდელი გამგეობა კი ვერ არის თეატრისათვის შესაფერისი და ეს გულ-ახდილად უნდა ვსთქვათ!

თეატრს საკუთარი მესვეური ეჭირვება და ეს მესვეური განთავისუფლებული უნდა იყოს სხვა და სხვა დაწესებულებისაგან.

თვით თეატრია უდიდესი დაწესებულება!

ვარდანელი.

# ღია წერილი

**ქართველ ექიმებსა და ბუნებისმეტყველთ.**

ქართველ ექიმებს დიდი ხნის სურვილი აგვისრულდა, და 30 ღვინობისთვეს დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოება. ამ საზოგადოების მიზანი შემდეგია:

ა) საქართველოს და მის ახლომახლო მდებარე ადგილთა შესწავლა ბუნებისა, ისტორიისა, ექიმობისა და სანიტარიის მხრივ.

ბ) ფიზიოგრაფიულ, სანიტარულ და საექიმო ცოდნათა გავრცელება ხალხში.

გ) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივსა და სამეცნიერო დაწესებულებათ და აგრეთვე კერძო პირთ საექიმო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საკითხების შემუშავება-შესწავლაში.

დ) ხალხური ექიმობის შესწავლა; ბრძოლა მკითხაობასა და ცრუმორწმუნოებასთან, რომელიც ზიანს აყენებს ხალხის ჯანმრთელობას.

ე) მოაწყოს სასანიტარო და საექიმო შეწევნა მკვიდრთათვის.

ვ) შეაკავშიროს ქართველი ექიმები და ბუნებისმეტყველნი წმინდა და პრაქტიკულ საექიმო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვა და სხვა საკითხის შესწავლა-შემუშავების ნიადაგზე.

ზ) იზრუნოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და მათის წოდებრივ და საზოგადოებრივ ინტერესთა შეთანხმებისათვის. ამ საზოგადოებას თავის მიზნის მისაღწევად შემდეგი საშუალება აქვს დასახული:

ა) მოხსენებები, სიტყვები და დემონსტრაციები საზოგადოებების კრებებზე, რომელიც, ზაფხულის გამოკლებით, გაიმართება თვეში ერთხელ ან საჭიროებისა და მასალების დაგროვების მიხედვით.

ბ) საჯარო ლექციებისა, თათბირთა და სისტემატიურ სახალხო კურსების მოწყობა იმ საგნებიდგან, რომელიც საზოგადოების პროგრამაში შედის.

გ) ხელი შეუწყოს ყოველგვარ ექსკურსიებსა და სამეცნიერო გამოკვლევებს საექიმო და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფარგალში.

დ) დაარსოს საკუთარი წიგნთ-საცავები, მუზეუმები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სტამბები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი.

ე) საზოგადოების ბეჭდურ შრომათა გამოცემა; იქონიოს თავისი დროგამოშვებითი გამოცემა; გამოსცეს დაწერილი წიგნები ხალხისათვის.

ვ) მოაწყოს კრებები და გამოფენები.

ზ) მოაწყოს საურთიერთო დახმარების საქმე.

თ) გამართოს სამკურნალოები, სანატორიუმები, ამბულატორიები, ქსენონები, საბებიო და საფერშლო სკოლები, აფთიაქები საკუთრად, თუ სხვა პირებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებით.

თ) მოაწყოს ყოველგვარი სპორტის საქმე, საოჯახო საღამოები, კონცერტები, მეჯლისები და სხვა... ამ საზოგადოების დაარსების დღეს განძრახული გვქონდა საქართველოს ყოველი კუთხიდან მოგვეწვია თანამგრძნობნი, რომ მათაც მონაწილეობა მიეღოთ ამ საქმეში. მაგრამ რადგანაც განსაკუთრებული დრო და შემთხვევა, ხელს უშლის ეხლა ყველას თავისუფლად წასვლა-წამოსვლის საქმეში, ამიტომ მხოლოდ თბილისში მყოფთ მიიღეს მონაწილეობა წინასწარ სამზადისსა და მუშაობაში.

შემდეგისათვის კი ეს მუშაობა უნდა იქნეს გადატანილი, როგორც საქართველოს სხვა და სხვა კუთხის, აგრეთვე შიდა რუსეთში მყოფ ქართველთა შორისაც.

საზოგადოების წესდებით, ნამდვილ წევრად შეუძლიან ყოფნა: ექიმს, ბუნების-მეტყველს, პროვიზორს, ბეითალს, კბილის ექიმს და აგრეთვე ყველას, ვისაც მიუღია სპეციალი სამეცნიერო, საბუნების-მეტყველო განათლება, როგორც, მაგალითად: ინჟენერს, აგრონომს, ტეხნიკოსს და სხ...

დამხმარე წევრებად შეიძლება ისეთი პირი იყოს, რომელიც მოისურვებს ემსახუროს საზოგადოებას თვისის შრომით, წვლილის გაღებით ანუ საზოგადოების საქმეებში მონაწილეობის მიღებით, თუნდაც შესაფერისი ცენზიც არა ჰქონდეს.

კორესპონდენტებად ითვლებიან ქალაქ გარეთ მცხოვრებნი, რომელთა თანამშრომლობას საზოგადოება სასარგებლოთ მიიჩნევს.

ასეთი საჭირო საქმე და ის დიდმნიშვნელოვანი მუშაობა, რომელიც მიზნად აქვს დასახული ამ ახლად დაარსებულ საზოგადოებას, რასაკვირველია, მოითხოვს ყველას შეჯგუფებას საერთო მუშაობის ასპარეზზედ. მხოლოდ მაშინ შევძლებთ რისამე გაკეთებას, როდესაც ყოველი ქართველი ექიმი და ბუნებისმეტყველი, კბილის ექიმი, ბეითალი და პროვიზორი როგორც საქართველოს მიდამოზედ მყოფი, აგრეთვე რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში მცხოვრები, გაიმსჭვალება საერთო მიზნით და გაუწვდენს ხელს ურთიერთს საზოგადო მუშაობის მოსაგვარებლად.

ამისათვის, ვსთხოვთ ყველას თავისი მისამართი გვაცნობონ, რომ ვაახლოთ თვითეულს საზოგადოების წესდება და საერთო მოწოდება. ომიანობის გამო ბევრს შეეცვალა ბინადრობა და ამისათვის შეუტყობინებლად წესდების გაგზავნა ძნელი მოსახერხებელია.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჩვენს მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებს არავინ, ვისაც საერთო საქმე უყვარს და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკივა. სწორედ ამ იმედით ვიწყებთ საქმეს და გვრწამს მისი მომავალი წარმატება.

**ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება.**

**მისამართი:** თბილისი, ქსენიევსკის ქუჩა № 7, ექიმ ნ. მელიქიშვილის თბილისის კერძო სამკურნალო.

ქართულ გაზეთების სხვა რედაქციებს უმორჩილესადა ვსთხოვთ გადაბეჭდონ ეს წერილი.

# დაბა-სოფლები

**სოფ. მეჯვრისხევი.** ამ სოფელში არსებობს ქართველ ქალთა საზოგადოების განყოფილება „მანდილოსანი“. ეს საზოგადოება გაიხსნა 1 გიორგობისთვეს 1915 წელს გორის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ანასტასია გიორგის ასულის ერისთავ-ხოშტარიას თანადასწრებით, რომელმაც დროის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა, კრებას განუმარტა მნიშვნელობა ახლად დაარსებულ საზოგადოებისა და აუხსნა დამწრეთ რა დიადი როლი შეუძლიან ითამაშოს ამ საზოგადოებამ საზოგადოთ ქალთა ცხოვრებაში. შემდეგ გამგეობისა და სარევიზიო წევრთა არჩევნები მოხდა.

როგორც სუყოველთვის აქაც იჩინა თავი უთანხმოებამ გამგეობის წევრთა შორის. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოხდა ახალ გამგეობის წევრთა არჩევნები. ახალი გამგეობა მაშინათვე შეუდგა შემოსავლის წყაროს გამონახვას მომავალ საფეიქრო სკოლის დასაარსებლად ს. მეჯვრისხევში. აი ამ მიზნით „მანდილოსანმა“ გახსნა პურის საცხობი ამ ზაფხულს და კარგათაც წაუვიდა საქმე. აქაურმა პურით მოვაჭრეებმა დაუთმეს პურით ვაჭრობა „მანდილოსანს“ და თავიანთი დუქნები დაჰკეტეს.

მაგრამ მოხდა ის, რაც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე: ეტყობა, ეს არ ესიამოვნათ გამგეობიდან გასულ წევრებს, დაუწყეს დევნა „მანდილოსნის“ პურსაცხობს, აალაპარაკეს საზოგადოება: ვითომ „მანდილოსანი“ ცუდ პურს აცხობდა, მასთან ძვირათ ჰყიდდაო. ალაპარაკდნენ და ემუქრებოდნენ „მანდილოსანს“ ოქმის შედგენით და საპურეს დაკეტვით. ამით მაინც მანდილოსნები გულს არ იტეხდნენ და მედგრათ განაგრძნობდნენ თავიანთ საქმეს.

როცა ორმა ქალმა „მანდილოსანს“ გვერდზედ ფურნე გაუხსნეს და ამით კონკურენცია, გაუწიეს „მანდილოსანი“ იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა პურის ცხობა, რათა არ ეზარალნა ქალთა საზოგადოებას. ამ პურის ცხობიდგან „მანდილოსანს“ დარჩა წმინდა მოგება 230 მან. დღეს მეჯვრისხევში გირვანქა პური 11 კაპ. იყიდება და ისიც ცომი და მასთან მწარე და შავი.

21 გიორგობისთვეს, ამა მიმდინარე წელს ქართველ ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის“ განყოფილებამ გახსნა საფეიქრო სკოლა. სკოლის კურთხევას დიდძალი ქალი დაესწრო, „მანდილოსნის“ გამგეობის თავმჯდომარემ ქ-ნ ან. ახალშენიშვილისამ დროის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა. ქ. ახალშენიშვილისამ სიტყვა იმით დაასრულა, რომ ჩვენმა დებმა ჩვენს საუბედუროთ „მანდილოსნის“ პურსაცხობს ფესვები შეაკვეცეს და მით შეაფერხეს „მანდილოსნის“ საქმეები. აგრეთვე წარმოსთქვა სიტყვა ადგილობრივმა ბლაღ. მღ. ს. გამრეკელმაც.

სკოლა მოქმედებას შეუდგა 1 გიორგობისთვიდან.

ხიმართლე.

# შემოწირულება

ქართველ ქალთა ხელოსნობის მოქმედი საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობასა სწირავს „პალას-ოტელის“ პატრონს ბ-ნს სოფრონ ნიკოლოზის ძე ხხირტლაძეს საზოგადოების სკოლის მომავალ შენობის საძირკვლის ჩაყრისათვის ათი თუმნის შემოწირულებისათვის.

—

მ. ხ. ბ. რედაქტორო!

გთხოვთ მიბოძოთ ნება თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ჩემი ულრმესი მადლობა გამოვუცხადო თბილისის რკინის გზის ეკლესიის მოძღვარს, დეკანოზ კ. პოპოვს და იმავე ეკლესიის მნათეს ი. პ. გორბენკოს, სოფ. ქვემო-გომის იოანე ნათლისცემლის ეკლესიის სახელობაზედ შემოწირულ ნივთებისათვის: მღვდლის მთელი შესამოსისა, 12 ხატისა, საცეცხლურისა და სამი ბარძიმ-ფეშხუმის სახურავისა.

სოფ. ქვემო-გომის იოანნე ნათლისცემლის ეკლესიის მღვდელი

ი. მონასელიძე.

# შეცდომის გასწორება

„საქართველოს“ 257-ში დაბეჭდილია ანგარიში ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის შემოსულ შემოწირულებათა, სადაც ნაჩვენებია 125 მანეთი, შემოსული წაღვერში გამართულ სეირნობისაგან. მოხსენებული უნდა ყოფილიყო, რომ ბ. ზ. გველესიანმა მხოლოდ ჩაიბარა ეს ფული ქ-ნ დარია მახარობლისაგან, რომელმაც მოაწყო საღამო და ეხმარებოდნენ ბ-ნი მ. მურვანიშვილი და სხ. მოაგარაკენი.

რედაქტორ-გამომცემელი

ხანდრო შანშიაშვილი



# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ. | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.33 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | . 6 „ 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

# სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გხურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი

(თ. 253) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. ბ. ქურთაური

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ჲ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლალიძის** წყალია მომზადებული სრულიად **უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით** და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# „სორაპანის“ გამოცემა

**დაიბეჭდა, გამოვიდა და იხყიდება ყველგან საქართველოში**

**კედლის კალენდარი**

შედგ. მ. გაჩეჩილაძის ჲ გრ. სვ. ჩარკვიანისა

**ფასი 70 კაპ.**

**სახალხო კალენდარი**

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

**ფასი 80 კაპ.**

**1917**

„პარტიით“ მყიდველებს შეუძლიანთ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.

**გაფრთხილება.** ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება“-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.

(12—252—5)

# ახალი უებარი საშუალება და ახალი გამოგონება

საგანგებოთ **ქალთა** წამლობა. ვისაც თეთრანა (სუსუნატი) და ნორმალური რიგი აქვს ქავილითა, ვურჩევთ იყიდონ შესაშხაპუნებლათ ადვილათ გასახსნელი კვერები „**ალბინი**“ და აბები „**უროზინი**“ (სუსუნატის წინააღმდეგ) პროფესორის დოქტორის **აროპეონისა**. კვერები „ალბინი“ მარგებელია ჲ შესაშხაპუნებლათ შეუძლიათ იხმარონ აგრეთვე კარგათ მყოფ ქალებმაც. დღეში ორჯერ, სქესობრივ კავშირის შემდეგ, რომ არ შეიყარონ რაიმე ვენერიული ავათმყოფობა. ეს წამალი ნებადართულია **საექიმო საბჭოსაგან**. ფასი კვერებისა 3 მანეთია, აბებისა აგრეთვე 3 მან., რომ სუსუნატისაგან განიკურნოთ, საჭიროა 6 კოლოფი „ალბინისა“ და 4 კოლოფი „უროზინისა“. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც, მხოლოთ ზედ უნდა გაუგზავნოთ 5 მან. წამლები უნდა შეუკვეთოთ მხოლოდ კავკასიაში წარმომადგენელს: Р. Я. Шмидтъ, Тхинвальская 12, Тифлисъ. (რ. შმიდტი, თხინვალის ქ № 12, თბილისი).

(თვ.)

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ **ხიზილალა**. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.